

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	15
5. ძირითადი საშუალებები.....	16
6. არამატერიალური აქტივები	17
7. მარაგები.....	17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
11. მიღებული სესხები.....	19
12. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება	19
13. ამონაგები	19
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
15. სხვა საოპერაციო შემოსავლები/ (ხარჯები), წმინდა	20
16. კომერციული ხარჯები	20
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	20
18. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	21
19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	21
20. კაპიტალის მართვა.....	25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

შპს სუფთა წყალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,169,813	1,021,162
არამატერიალური აქტივები	6	90,121	100,488
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,259,934	1,121,650
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	584,907	509,034
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	288,705	268,623
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	34,488	192,503
სულ მიმდინარე აქტივები		908,100	970,160
სულ აქტივები		2,168,034	2,091,810
ვალდებულებები და კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	128,394	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		128,394	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	452,806	185,777
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	11	175,568	400,419
საგადასახადო ვალდებულებები	12	59,631	32,093
სულ მიმდინარე ვალდებულებები		688,005	618,289
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,128,500	1,128,500
დაგროვილი მოგება		223,135	345,021
სულ კაპიტალი		1,351,635	1,473,521
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,168,034	2,091,810

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2019 წლის 30 სექტემბრისთვის დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ირაკლი კალმახელიძე

მთავარი ბუღალტერი _____ ანა კიკნაძე

შპს სუფთა წყალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,169,813	1,021,162
არამატერიალური აქტივები	6	90,121	100,488
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,259,934	1,121,650
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	584,907	509,034
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	288,705	268,623
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	34,488	192,503
სულ მიმდინარე აქტივები		908,100	970,160
სულ აქტივები		2,168,034	2,091,810
ვალდებულებები და კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	128,394	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		128,394	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	452,806	185,777
მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	11	175,568	400,419
საგადასახადო ვალდებულებები	12	59,631	32,093
სულ მიმდინარე ვალდებულებები		688,005	618,289
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,128,500	1,128,500
დაგროვილი მოგება		223,135	345,021
სულ კაპიტალი		1,351,635	1,473,521
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,168,034	2,091,810

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან 2019 წლის 30 სექტემბრისთვის დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:



[Signature]
[Signature]

ირაკლი კალმახელიძე

ანა კიკნაძე

7-25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გვერდი 3-25

შპს სუფთა წყალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	13	2,587,437	2,153,818
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(929,785)	(710,200)
საერთო მოგება		1,657,652	1,443,618
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	15	(35,079)	31,365
კომერციული ხარჯები	16	(671,149)	(484,749)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(713,109)	(539,427)
საოპერაციო მოგება		238,315	450,807
საპროცენტო ხარჯი	11	(26,239)	(12,360)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა		10,711	(41,083)
მოგება დაბეგვრამდე		222,787	397,364
მოგების გადასახადი ხარჯი		(10,173)	(7,112)
მთლიანი სრული შემოსავალი		212,614	390,252

შპს სუფთა წყალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბერისთვის	1,128,500	165,296	1,293,796
დივიდენდი	-	(210,526)	(210,526)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	390,251	390,251
2017 წლის 31 დეკემბერისთვის	1,128,500	345,021	1,473,521
დივიდენდი	-	(334,500)	(334,500)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	212,614	212,614
2018 წლის 31 დეკემბერისთვის	1,128,500	223,135	1,351,635

შპს სუფთა წყალი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		222,787	397,364
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		276,157	148,602
საპროცენტო ხარჯი	11	26,239	12,360
საპროცენტო შემოსავალი		-	-
გაუფასურების რეზერვი	17	8,194	27,970
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით		(906)	(8,426)
წარმოშობილი წმინდა მოგება			
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან		14,396	-
არარეალიზებული (მოგება)/ზარალი საკურსო		(10,711)	41,083
სხვაობებიდან			
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		536,156	618,953
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:			
მარაგები		(75,873)	(120,568)
სავაჭრო მოთხოვნები		4,716	(146,819)
სავაჭრო ვალდებულებები		96,789	47,297
საგადასახადო ვალდებულებები		27,538	160
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		589,326	399,023
გადახდილი პროცენტები		(68,239)	(12,360)
გადახდილი მოგების გადასახადი		(10,173)	(32,063)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		510,914	354,600
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(482,399)	(367,410)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		29,387	18,378
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(7,351)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(453,012)	(356,383)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(164,500)	(210,526)
სესხის აღება		-	273,520
სესხის დაფარვა		(49,932)	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) ფინანსური საქმიანობიდან		(214,432)	62,994
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(156,530)	61,211
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	9	192,503	114,846
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ		(1,485)	16,446
ვალუტაში არსებულ ნაშთებზე			
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	9	34,488	192,503

7-25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სუფთა წყალი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში - კომპანია), რომელიც დაარსდა 2006 წლის 15 მაისს. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში საიდენტიფიკაციო ნომრით - 205150655.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს წყლის წარმოება და რეალიზაცია. წყლის დაფასოება ხდება 19 ლიტრიან ბოცებში ნატახტარში მდებარე კომპანიის კუთვნილ ქარხანაში. წყლის დისტრიბუცია ხორციელდება საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში. მსხვილ კლიენტთა სიაში შედიან ბანკები, ავთიაქები, საჯარო დაწესებულებები, სასტუმროები და სხვა მრავალ ფილიალიანი კომპანიები. კომპანია ასევე ემსახურება ინდივიდუალურ კლიენტებსაც.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი მაგდა ქარსიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის ფალიაშვილის ქუჩა #118.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებულია დამრგვალებების გარეშე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია გადავიდა ფასს 9 და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9 და ფასს 15, გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. კომპანიის შეფასებით ფასს 15-ის და ფასს 9-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ფასს 15-ის და ფასს 9-ის დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ იჯარას და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო იჯარას სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპს. იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს ძირითადი საშუალების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	25-50
მანქანა-დანადგარები	8
წყლის დისპენსერები	3-5
ყავის აპარატები	3-20
სატრანსპორტო საშუალებები	2-40
ოფისის აღჭურვილობა	3-30
სხვა	5-20

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე, თუ არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია,

მისი საბალანსო ღირებულება მცირდება და ხდება უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
წყლის წარმოების ლიცენზია	17-25
კომპიუტერული პროგრამა	3-10
პატენტები	5

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველაწარმოადგენი დანახარჯისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები აქტივებია, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიპოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, იმიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ისინი აღიარებულია ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ძირითადი შემოსავალი ფორმირდება წყლის, პლასტმასის ჭიქების, ყავისა და სხვა საქონლის რეალიზაციით. კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. კომპანიის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით. იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	წყლის დისპენსერები	ყავის აპარატები	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	392,022	349,444	613,804	-	206,058	42,122	100,023	29,317	1,732,790
შემოსვლები	749	5,765	148,358	101,644	90,997	-	23,686	5,423	376,622
გასვლები	-	-	-	(1,019)	(24,450)	-	-	-	(25,469)
ჩამოწერები	-	-	(9,336)	-	-	-	-	-	(9,336)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	392,771	355,209	752,826	100,625	272,605	42,122	123,709	34,740	2,074,607
შემოსვლები	647	-	197,835	153,625	92,539	-	35,595	2,158	482,399
გასვლები	-	-	(7,372)	(2,473)	(50,756)	-	-	-	(60,601)
ჩამოწერები	-	-	(45,744)	-	(35,171)	-	-	-	(80,915)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	393,418	355,209	897,545	251,777	279,217	42,122	159,304	36,898	2,415,490
დაგროვილი ცვეთა									
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(71,220)	(141,618)	(536,128)	-	(50,652)	-	(71,755)	(16,350)	(887,723)
ცვეთა	(9,419)	(20,225)	(91,098)	(1,459)	(29,259)	-	(26,417)	(3,485)	(181,362)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	4,760	14	10,866	-	-	-	15,640
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(80,639)	(161,843)	(622,466)	(1,445)	(69,045)	-	(98,172)	(19,835)	(1,053,445)
ცვეთა	(9,257)	(18,217)	(152,288)	(18,746)	(44,175)	-	(16,950)	(6,157)	(265,790)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	5,349	-	26,771	-	-	-	32,120
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	33,193	-	8,245	-	-	-	41,438
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(89,896)	(180,060)	(736,212)	(20,191)	(78,204)	-	(115,122)	(25,992)	(1,245,677)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	312,132	193,366	130,360	99,180	203,560	42,122	25,537	14,905	1,021,162
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	303,522	175,149	161,333	231,586	201,013	42,122	44,182	10,906	1,169,813

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიწა, შენობები და მანქანა დანადგარები საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხის სასარგებლოდ დატვირთულია იპოთეკით/გირაოთი.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	წყლის წარმოების ლიცენზია	კომპიუტერული პროგრამა	პატენტები	სულ
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	114,494	13,064	10,831	138,389
შემოსვლები	-	-	7,351	7,351
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	114,494	13,064	18,182	145,740
შემოსვლები	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	114,494	13,064	18,182	145,740
დაგროვილი ცვეთა				
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(15,765)	(12,136)	(7,838)	(35,739)
ცვეთა	(6,792)	(234)	(2,487)	(9,513)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(22,557)	(12,370)	(10,325)	(45,252)
ცვეთა	(6,777)	(234)	(3,356)	(10,367)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(29,334)	(12,604)	(13,681)	(55,619)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	91,937	694	7,857	100,488
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	85,160	460	4,501	90,121

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბოცები კლიენტებთან	316,950	276,354
ნედლეული და მასალები	76,224	70,306
ყავა	60,635	61,911
ბოცები საწყობში	38,699	40,885
მზა პროდუქცია	38,708	12,392
სხვა	53,691	47,186
სულ მარაგები	584,907	509,034

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფინანსური აქტივები:		
სავაჭრო მოთხოვნები	328,717	263,138
გაუფასურების რეზერვი	(107,528)	(91,737)
სულ ფინანსური აქტივები	221,189	171,401
არაფინანსური აქტივები:		
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	55,537	67,982
მოთხოვნები თანამშრომლის მიმართ	37,562	62,420
გაუფასურების რეზერვი	(25,583)	(33,180)
სულ არაფინანსური აქტივები	67,516	97,222
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	288,705	268,623

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები რისკის დონის მიხედვით	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე და არავადაგადაცილებული	136,764	102,763
კოლექტიურად გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები:		
ვადაგადაცილება 0 დან - 30 დღემდე	41,953	49,503
ვადაგადაცილება 31 დან - 120 დღემდე	49,999	40,148
ვადაგადაცილება 120 დან - 365 დღემდე	24,091	5,665
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	75,910	65,059
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები	328,717	263,138
გაუფასურების რეზერვი	(107,528)	(91,737)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	221,189	171,401

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
1 იანვარი	(91,737)	(70,004)
ზრდა პერიოდის განმავლობაში	(15,791)	(21,733)
31 დეკემბერი	(107,528)	(91,737)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში ლარში	16,897	63,322
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	17,407	63,176
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	184	66,005
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	34,488	192,503

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	133,195	88,455
გადასახდელი ხელფასები	48,055	38,670
სხვა*	47,309	400
სულ ფინანსური ვალდებულებები	228,559	127,525
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	15,247	8,252
დივიდენდები	209,000	50,000
სულ არაფინანსური ვალდებულებები	224,247	58,252
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	452,806	185,777

*2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები

				31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის გრაფიკი	სესხის ძირი	სესხის ძირი
საქართველოს ბანკი	ევრო	9% *	27-ნოე-20	257,997	310,440
ფიზიკური პირებისგან	ლარი	14%	27-აგვ-19	45,965	87,965
ფიზიკური პირებისგან	ლარი	14%	31-დეკ-17	-	2,014
სულ მიღებული სესხები				303,962	400,419

* საქართველოს ბანკის სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთი ფორმირდება შემდეგი წესით: ლიბორს ("LIBOR" - London Interbank Offered Rate) დამატებული საბაზისო განაკვეთი (8,5%).

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

მოკლევადიანი სესხები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	129,603	310,440
სხვა მხარეებისაგან მიღებული სესხები	45,965	89,979
სულ მიღებული მოკლევადიანი სესხები	175,568	400,419

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2018	2017
ბალანსი წლის დასაწყისში	400,419	89,979
ფულადი ნაკადები	(118,171)	261,160
წმინდა ფულადი ნაკადები:		
პერიოდში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	26,239	12,360
საკურსო სხვაობის ეფექტი	(4,525)	36,920
ბალანსი წლის ბოლოს	303,962	400,419

12. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, გადასახადები გადაიხდება გაერთიანებულ სახაზინო ანგარიშზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისა მდგომარეობით წარდგენილია დანეტებულად.

13. ამონაგები

	2018	2017
ამონაგები რეალიზაციიდან:		
წყალი	1,919,555	1,726,843
პლასტმასის ჭიქები	401,735	308,213
ყავა	168,992	43,706
სხვა*	97,155	75,056
სულ ამონაგები	2,587,437	2,153,818

*სხვა ამონაგების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ჩაისა და სხვა მარაგების რეალიზაციიდან მიღებულს შემოსავალს.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
გაციდული საქონლის თვითღირებულება		
წყალი	(468,803)	(469,280)
პლასტმასის ჭიქები	(313,970)	(152,950)
ყავა	(80,926)	(22,938)
სხვა*	(66,086)	(65,032)
სულ გაციდული საქონლის თვითღირებულება	(929,785)	(710,200)

*სხვა ხარჯების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ჩაისა და სხვა მარაგების რეალიზაციის თვითღირებულებას.

15. სხვა საოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა

2018 წელს წინა საანგარიშგებო წელთან შედარებით სხვა საოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები) მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია დისპანსერების ჩამოწერის ხარჯის ზრდით, რომელთა ჩამოწერის ღირებულებამაც მიმდინარე წელს 42,068 ლარი შეადგინა.

16. კომერციული ხარჯები

	2018	2017
გაციდვის დეპარტამენტის თანამშრომელთა ანაზღაურება	(260,780)	(222,077)
ცვეთა	(216,686)	(135,505)
მიწოდების ხარჯი	(164,019)	(112,629)
რეკლამის ხარჯი	(29,664)	(14,538)
სულ კომერციული ხარჯები	(671,149)	(484,749)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ადმინისტრაციული თანამშრომელთა ანაზღაურება	(290,625)	(227,299)
შეკეთება და შენახვა	(121,430)	(91,292)
იჯარა	(70,685)	(50,558)
პროფესიული მომსახურება	(49,057)	(16,697)
დაზღვევა	(32,893)	(25,806)
ცვეთა	(16,173)	(13,097)
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	(15,344)	(14,029)
საწვავი	(10,562)	(15,906)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(9,337)	(8,480)
გაუფასურების რეზერვი	(8,194)	(27,970)
ბანკის საკომისიო	(7,023)	(19,714)
საკანცელარიო ხარჯი	(4,534)	(5,825)
სხვა ხარჯები	(77,252)	(22,754)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(713,109)	(539,427)

18. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სამართლებრივი დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულა ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	221,189	171,401
ფული და ფულის ეკვივალენტები(ნაღდი ფულის გარდა)	17,591	129,181
სულ ფინანსური აქტივები	238,780	300,582

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 50 დღეს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3-დან - 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე
მიღებული სესხები	68,996	120,874	134,735
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	228,559	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	297,555	120,874	134,735

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე
მიღებული სესხები	89,979	310,440
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	127,525	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	217,504	310,440

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
სავაჭრო მოთხოვნები	221,189	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	17,406	173	12
სულ ფინანსური აქტივები	238,595	173	12
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	89,979	-	310,440
სავაჭრო ვალდებულებები	227,639	552	368
სულ ფინანსური ვალდებულებები	317,618	552	310,808
ღია საბალანსო პოზიცია	(79,023)	(379)	(310,796)

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	171,401	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	63,174	762	65,245
სულ ფინანსური აქტივები	234,575	762	65,245
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	89,979	-	310,440
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	127,068	457	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	217,047	457	310,440
ღია საბალანსო პოზიცია	17,528	305	(245,195)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	(ლარი / აშშ დოლარი)		(ლარი / ევრო)	
საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მგრძნობელობა	2018	2017	2018	2017
20% ზრდა	(76)	61	(62,159)	(49,039)
20% შემცირება	76	(61)	62,159	49,039

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი უცვლელია.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება არ ახდენს არსებით გავლენას კომპანიის სრული შემოსავლისა და კაპიტალის ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.